პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
ოთხშაბათი, 4 ივნისი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 515 ტ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## ფართეთ უნდა შუქდებოდეს სამხედრო სწავლება.

ახალ გაწვეულთა მოსვლა ჩვენი ჯარის ნაწილებში უკვე დაიწყო. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა უმაგალითო ხალისით და აღფრთოვანებით მიეშურება წითელ ჯარის რიგებისაკენ.

აი ამ რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდობისაგან ჩვენ უნდა მოვამზადოთ სათანადო კადრი საბჭოთა კავშირის და მშრომელთა ინტერესების ღირსეული დამცველებისა.

ამისკენ არის მიმართული საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის მთელი ძალები.

ბურჟუაზიულ ქვეყნების და იმპერიალისტური ჯარების არსებობა, რომელიც რკინის რკალივით აკვრიან ჩვენს კავშირს, გვაიძულებენ ჩვენ ვიყოლიოთ უდრეკი, დაუძლეველი წითელი-არმია.

ახლად მოსულ ახალგაზრდობისაგან ჩვენ უნდა გამოვზარდოთ არა მარტო პოლიტიკურად შეგნებული და კულტურულად აღზრდილი წითელ-არმიელი, არამედ სათანადო სამხედრო ცოდნითაც აღჭურვილი, უდრეკი მეომარი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობის.

ამიტომ სამხედრო სწავლება, სამხედრო მეცადინეობა და გაწვრთნა პირველ რიგში სდგას ჩვენი ჯარის მუშაობაში.

სამწუხაროდ, დღემდის ჩვენი სამხაორები ნაკლებად აშუქებდენ წითელი ჯარის მუშაობის ამ მთავარ მხარეს. ეს კი დაუშვებელია. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კულტურულ და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ერთად ფართედ უნდა შუქდებოდეს სამხედრო მეცადინეობის ეგრედ წოდებულ „სწავლების" მსვლელობაც. განსაკუთრებით ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სამხკორებმა ამ საბანაკო პერიოდში, როდესაც უმთავრესად სწარმოებს სამხედრო მეცადინეობა ახალგაზრდა წითელ-არმიელთა შორის. ამ საკითხის გაშუქება უნდა ხდებოდეს ყოველ მხრივ. როგორც სამხედრო ყოფის სურათების გადმოცემის მხრივ, ისე თითეულ მიღწევის აღნიშვნისა და სათანადო დასკვნის გაკეთებითაც.

## საფრანგეთი და პოლონეთი

### საუკეთესო სამსახური.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ერიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის დემოკრატია ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი პოლონეთის მიმართ, ამიტომ პოლონეთი არ უნდა შეაშფოთოს დემოკრატიული მთავრობის დაარსებამ საფრანგეთში.

ერიომ განაცხადა, რომ მას სურს საჩქაროდ დაამყაროს მშვიდობიანი ურთიერთობა სსრკ-სთან. მისი აზრით ეს იქნება საუკეთესო სამსახური პოლონეთისათვის. პოლონეთი უნდა სცდილობდეს კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარებას თავის აღმოსავლეთ მეზობლებთან.

## მთავრობის კრიზისი საფრანგეთში.

### მილიერანის ბატონობის დღეები დათვლილია.

რადიკალ-სოციალისტების პარტიის თათბირზე მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მილიერანმა გადააჭარბა თავის უფლებებს, რის გამო უმრავლესობას არ შეუძლია გამოუცხადოს მას ნდობა. ერიო მოითხოვდა გამოერიცხათ რეზოლიუციიდან ის მუხლი, რომლის ძალითაც ეკრძალება მემარცხენე ბლოკის დეპუტატებს მიიღონ რწმუნებულება მილიერანიდან, და აღნიშნავდა, რომ მას სურს შეინარჩუნოს მოქმედების თავისუფლება, თუ მილიერანი მიანდობს მას მთავრობის შედგენას.

#### მილიერანის წინააღმდეგ.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ დაავალა დეპუტატ სოციალისტებს ებრძოლოს მილიერანის მიერ შედგენილ მთავრობას, როგორიც არ უნდა იყოს ის.

#### მილიერანთან მუშაობა არ შეიძლება

რესპუბლიკანელ-სოციალ. და სოციალისტების თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მილიერანთან მუშაობა შეუძლებელია. ბრიანმა ამ საკითხის გარშემო დისკუსიის დაწყებამდე დასტოვა თათბირი.

#### ეხლა კი—ერთიანი ფრონტი.

მემარცხენე ბლოკის პლენუმმა ერთხმად მოიწონა რადიკალ-სოციალისტების რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია უნდობლობა მილიერანისადმი.

#### დაჟინებით მოითხოვენ მილიერანის გადადგომას.

საფრანგეთის პარლამენტი გაიხსნა. თავმჯდომარემ, დეპუტატ პინორმა აღნიშნა, რომ პირველმა პალატამ რომელიც მოწვეული იყო გამარჯვების მომენტში, ვერ მოიტანა მშვიდობიანობა. პინორმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მიერ რეპარაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ, თუ შეუთანხმდებიან მოკავშირეებს და დაამტკიცებს მას ერთალიგა. პინორმა აღნიშნა, რომ კომუნისტების წინადადება პარლამენტის სხდომის გადადების შესახებ მილიერანის გადადგომამდი,—მიუღებელია, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. კომუნისტების ადგილებიდან ისმოდა. გადადგომა, გადადგომა."

#### ერიო მომხრეა სოციალისტებთან თანამშრომლობის.

რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების აღმასკომის სხდომაზე ერიომ განაცხადა სურვილი მემარცხენე ბლოკთან თანამშრომლობაზე მთავრობაში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ სოციალისტები უარს იტყვიან მთავრობაში მონაწილეობაზე, მაშინ არც ის მიიღებს მონაწილეობას.

#### პენლევე მემარცხენე ბლოკის კანდიდატია.

მემარცხენე ბლოკის პლენუმმა ერიოს წინადადებით ერთხმად წამოაყენა პენლევეს კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის ადგილზე.

### ერიოს მიანდვეს მთავრობის შედგენა.

ერიომ მიიღო წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ. მემარცხენე პარტიების დადგენილება, რომელიც მიმართულია პრეზიდენტ მილიერანის წინააღმდეგ, გაცილებით ართულებს საფრანგეთის პოლიტიკურ მდგომარეობას.

## დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის კანდიდატურა.

მემარცხენე პარტიების ბლოკის სხდომაზე ერიოს თავმჯდომარეობით და პენლევეს და ბლიუმის მონაწილეობით, ერთხმათ იქნა მიღებული პენლევეს კანდიდატურა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ადგილზე.

## საფრანგეთის კომპარტიის ნაციონალურ საბჭოში.

სენ-დენში მოხდა საფრანგეთის კომპარტიის ნაციონალურ საბჭოს სხდომა. დაესწრო 170 დელეგატი. მოხსენებით გამოვიდა სელლიე, რომელმაც გააშუქა ცეკას თეზისები გერმანიის, ინგლისის და რუსეთის საკითხების შესახებ, ოპოზიციონერმა მონატმა გააკრიტიკა ცეკას თეზისები. ოპოზიციის განცხადებიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის კომპარტიაში არსებობს „მუშათა ჯგუფი", რომელსაც ხელმძღვანელობენ მონატი, როსმერი და სუვარინი, მონატმა განაცხადა, რომ ჯგუფი დაემორჩილება ნაციონალურ საბჭოს გადაწყვეტილებას.

კომინტერნის წარმომადგენლები ოპოზიციის წინააღმდეგ წავიდენ და აღნიშნეს, რომ საჭიროა ევროპის სახელმწიფოების ყველა კომპარტიების შეერთებული ბრძოლა.

#### შეერთებული ბრძოლა.

ინგლისის და გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებმა გააკეთეს მოხსენება კომპარტიის მდგომარეობაზე. გერმანიის წარმომადგენელმა მოუწოდა საფრანგეთის კომპარტიას ექსპერტთა პროექტის წინააღმდეგ შეერთებულ ბრძოლისაკენ. საბჭომ მას ოვაციებით შეხვდა და ინტერნაციონალის სიმღერით გააცილა ტრიბუნიდან.

#### უმრავლესობა მხარს უჭერს ცეკას ხაზს.

კენჭის ყრის შედეგად 2.262 მანდატი 15-ის წინააღმდეგ მხარს უჭერს ცეკას თეზისებს.

გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის კომპარტია იბრძოლებს ვერსალის ხელშეკრულებისა და ექსპერტების პროექტის წინააღმდეგ.

მიღებულ იქნა რეზოლიუცია რომელშიაც მოითხოვენ საერთო ამნისტიას, მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას სსრკ-სთან და ილაშქრებენ რურის ოკუპაციის, ვერსალის ზავის და ექსპერტთა პროექტის წინააღმდეგ.

## ინგლისი.

### მუშათა პარტიის ტრადიციებიდან სრული გადახვევა

თემთა პალატამ კანონპროექტის მეორედ კითხვის დროს მუშებს და მწარმოებლებისაგან საწარმოო საბჭოების დაარსების შესახებ მიიღო დადგენილება ასეთები დანიშნული იქნეს შრომის მინისტრისაგან მხარეთა შეთანხმების დროს.

საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის შრომის მინისტრის დასტურის შემდეგ.

კანონ პროექტი მუშათა პარტიის ტრადიციების სრული უარყოფაა, მუშათა კლასი ყოველგვარ ზომებით იბრძოლებს ამის წინააღმდეგ.

## ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება.

სხვა და სხვა ხმებისშესახებ, რომ თითქოს მოხდება აუცილებლად გაწყვეტა ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღემდის კონფერენციის მუშაობაში არავითარ ისეთ დაუძლეველ დაბრკოლებას არ უჩენია თავი და იმედი კონფ. ჩაშლის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს.

# გერმანიის კაბინეტის შედგენის გარშემო

გერმანიის კაბინეტის კრიზისი დღემდის გადაუჭრელი რჩება. გერმანიის ნაციონალისტებმა კვლავ მიმართეს რეიხს კანცლერს თხოვნით განაახლოს მოლაპარაკება სახალხო პარტიასთან.

### უკეთესია არა.

გერმანიის პრეზიდენტმა უარყო სახალხო პარტიის პარლამენტის ფრაქციის ბელადის შოლცის წინადადება მინდობოდა კაბინეტის შედგენა ნაციონალისტებს.

### ხელებს იბანენ.

სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ნაციონალისტებთან მოლაპარაკების ჩაშლის გამო, სახალხო პარტიის როლი როგორც შუამავალის დასრულებულია. ფრაქცია სრულ სოლიდარობას უცხადეა შტრეზემანს და აუცილებლად მიაჩნა შტრეზემანის დარჩენა საგარეო საქმეთა მინისტრად, სანამ თვითონ არ მოისურვებს წასვლას.

### მოკავშირეთა ნაბიჯი.

გაზეთი „ფოსიშე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ინგლისმა და ამერიკამ გადადგეს ოფიციალურად ნაბიჯი, რათა მიუთითონ გერმანიის მთავრობას იმ გარემოებაზე, რომ ნაციონალისტების მონაწილეობა ახალ კაბინეტში მეტად საზარალო იქნება გერმანიისათვის.

# დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლება.

რეიხსტაგის შინაურ მუშაობის გამწესრიგებელ კომისიამ, იქონია რა მსჯელობა კომუნისტებისა და ტევტონელების მიერ შეტანილ შეკითხვაზე დაადგინა განთავისუფლებულ იქნეს კრიბოი, კომუნისტი გეიდემანი და მიუნხენში დატუსაღებული კომუნისტები: ფლორინი, შლეხტი და ბუხმანი, დანარჩენ კომუნსტების პფეიფერისა, ლინაუსა და ურვანსის განთავისუფლების შესახებ კომისია გამოიტანს დადგენილებას შემდეგ სხდომაზე.

### კომუნისტების განთავისუფლება.

ბერლინის ცნობით რეიხსტაგმა უარი სთქვა უღრეს მემარჯვენე დეპუტატების განთავისუფლების შესახებ, ხოლო მიიღო წინადადება ექვსი დეპუტატ-კომუნისტების განთავისუფლებაზე.

# აჯანყება ალბანეთში.

### შეტაკება სკუტარისთან.

მილანიდან მოსული ცნობებით ალბანეთის აჯანყებულთა და მთავრობის ჯარებს შორის სასტიკი შეტაკებებია სკუტარისთან და ტირანთან.

### აჯანყებულთა რაზმები ძლიერდება.

გაზეთ „დეილი მეილი“-ის კორესპონდენტის ცნობით სამხრეთ ალბანეთის ჯარები და სკუტარის გარნიზონი მთლიანად შეუერთდა აჯანყებულებს.

### შეტაკების მსხვერპლნი.

ბარრიდან პარიზში მოსული ცნობებით სკუტარისთან შეტაკებისას მთავრობის ჯარს მოუკლეს 32 კაცი, ხოლო აჯანყებულებს 18.

# იტალია თავს უყრის ჯარს კუნძულ როდოსზე.

ოსმალეთის გაზეთების ყურადღების ცენტრი ამ ჟამად მიპყრობილია კუნძულ როდოსისაკენ, სადაც იტალიელები თავს უყრიან თავიანთ ჯარებს. გაზეთების აზრით ჯარების თავის მოყრა კუნძულ როდოსზე არის ოსმალეთის ინტერესების წინაამდეგ მიმართული ფაქტი. ზოგიერთი გაზეთები ბეჭდავენ ფაშისტებისა და მუსოლინის კარიკატურებს.

### რა მიზანი აქვს ჯარის თავის მოყრას?

ანგორის მაღალ წრეებში ფიქრობენ, რომ როდესზე იტალიას ჯარების თავის მოყრას მიზნათ აქვს დასახული ერთგვარი გავლენა მოახდინონ მოსულის შესახებ გამართულ მოლაპარაკებაზე.

### იტალიის საელჩოს განცხადება

ანგორის მთავრობა სთვლის იტალიის საელჩოს განცხადებას, ჯარების კონცენტრაციის შესახებ, არასერიოზულად და მიიღო სათანადო ზომები ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევათაგან თავის დასაღწევათ.

### პრესის ცნობა.

ოსმალეთის პრესის ცნობით ანგორის მთავრობამ მიმართა იტალიას და მოსთხოვა ოფიციალური განმარტება, კუნძულ როდოსზე ჯარების თავის მოყრის გამო. სამხედრო და შინაგან საქმეთა კომისარიატებმა მოაწყვეს მტკიცე საინფორმაციო ქსელი სმირნასთან და ადანესთან.

# ავსტრიაში

### თავდასხმა კანცლერზე.

ავსტრიის კანცლერი ზეიპელი მძიმეთაა დაჭრილი ფილტვში, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არაა.

### ვინ ესროლა ზეიპელს?

ზეიპელი დასჭრა მუშა კარლოს იავარეკმა. იავარეკმა თითონ მოინდომა თავის მოკვლა. ზეიპელი გადაიყვანეს საავათმყოფოში. იქვე გადაიყვანეს იავარეკიც, სადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ იავარეკმა განაცხადა თავდასხმის მოტივების დასახელებაზე.

### დაწვრილებითი ცნობები.

გასროლის ხმაზე, რომელიც მოახდინა იავარეკმა ზეიპელისადმი, მთელი სადგური პანიკამ მოიცვა. სადგურზე მყოფი საზოგადოება მივარდა იავარეკს, დასცეს ის ძირს და დაუწყეს ცემა. ალბად მოჰკლავდენ მას, რომ პოლიციას არ გამოეგლიჯა იავარეკი გამხეცებული ხალხის ხელიდან.

ებერტმა, კანცლერ მარქსმა და შტრეზემანმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ზეიპელს. იავარეკის წერილებიდან თავის მეუღლისადმი სჩანს, რომ ზეიპელისადმი თავდასხმის მიზეზი უნდა იყოს იავარეკის გამორიცხვა ქარხნიდან. ზეიპელის მდგომარეობა საშიში არაა. საჭირო იქნება ოპერაცია ტყვიის ამოსაღებად. ავსტრიის პარლამენტში მოხდა მთავრობის განცხადება თავდასხმის შესახებ.

# რადიოს ყოველ მხრიდან

## შარლ ჟიდი საბჭოთა კოოპერაციის შესახებ.

საფრანგეთის კოოპერაციის ნაციონალურ ყრილობაზე შარლ ჟიდმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კოოპერაცია საუკეთესო შთაბეჭდილებას იძლევა და გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ დართო საბჭოთა კოოპერატორებს საფრანგეთში შესვლის ნება.

## აფიცებენ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის წარმომადგენელმა მოსულის კონფერენციაზე კოქსმა აცნობა ოსმალეთის მთავრობას, რომ მან მიიღო მოწერილობა ლონდონში დაბრუნების შესახებ იმ შემთხვევაში თუ ოსმალნი არ შეცვლიან თავის პოზიციას მოსულის საკითხში.

## დაეპატრონენ სახალინს.

იაპონური გაზეთების ცნობით იაპონიის სინდიკატი შეუდგა ჩრდილო სახალინზე ნავთიან ადგილების დამუშავებას და იქიდან გადაასახლა ამერიკელი მრეწველები.

## მუშები იცავენ თავიანთ უფლებებს.

ოსაკის (იაპონიაში) ლითონის ქარხნის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება. სამუშაოდან დაბრუნებულ მუშებს შეხვდა პოლიცია. უშედეგო მოლაპარაკებათა შემდეგ შესდგა მიტინგი, სადაც მუშებმა დაისახეს შემდეგი მოქმედების გზები.

## ფინეთის ახალი მთავრობა.

მოლაპარაკება ახალი მთავრობის შედგენის შესახებ ბურჟუაზიული პარტიებთან დასრულდა. პრემიერათ დაინიშნა ინგმანი, ხოლო გარეშე საქმეთა მინისტრად პრაკორი.

## საომარი მდგომარეობა პოლონეთ-ლიტვას შორის.

ლიტვის პრემიერმა, სალვანოვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი სცდილობს ლიტვის დაპყრობას და ამიტომ სუვალკის ხელშეკრულება დარღვეულია. ეხლანდელი მდგომარეობა პოლონეთ-ლიტვის შორის საომარი მდგომარეობაა.

# გამყიდველი ბელადები.

ქრისტიანიის (ნორვეგია) მელითონეთა საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა შეუდგეს მუშაობას და დაადასტუროს პროფმოძრაობის შემთანხმებელ ბელადთა გამყიდველობა.

# პოლონეთი.

### იგრძნო მუშის ძალა.

ვიდზოვის მანუფაქტურის მუშებმა, უარი მიიღეს თუ არა შრომის ხელფასის მიღებაზე, გაემართენ დირექტორის ბინაზე და ძალით წამოიყვანეს კანტორაში. დირექტორს სცემეს. გამოუძახეს პოლიციას და ცეცხლის მქრობელ რაზმს. დირექტორი დაიხსნეს, რომელიც გაემგზავრა ვარშავაში. მუშები ჩასაფრდნენ კანტორაში, ხოლო პოლიციელთა ძლიერი შეტევის შემდეგ დასტოვეს კანტორა. ფაბრიკა დაიხურა.

# საბჭოთა კავშირში.

## პარტიის ყრილობის შემდეგ

### შეუდგნენ მუშაობას.

შესდგა რკპ-ს ახალი ცეკას პლენუმი. პოლიტ-ბიუროში არჩეული არიან:

ამხ. ამხ. ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, სტალინი, ტომსკი და ტროცკი; კანდიდატებად: ამხ. ამხ. მოლოტოვი, კალინინი, რუდზუტაკი, დზერჟინსკი, სოკოლნიკოვი, ფრუნზე. ორგბიუროში: ანდრეევი, ბუბნოვი, ვოროშილოვი, დოგადოვი, ზელენსკი, კოგანოვიჩი, კალინინი, მოლოტოვი, ნიკოლაევა, სმირნოვი, სტალინი; კანდიდატებად: ამხ. ამხ. დზერჟინსკი, ტომსკი, ფრუნზე, ჩაპლინი, ანტიპოვი და ლეპსე. სეკრეტარიატში: ამხ. ამხ. სტალინი, მოლოტოვი, ანდრეევი, კოგანოვიჩი და ზელინსკი. გენერალურ მდივნად — სტალინი.

„პრავდას“ რედაქტორად დამტკიცებულია ბუხარინი.

### სიტყვიდან საქმეზე.

პლენუმმა დაადგინა შექმნას მუდმივი კომისია სოფლად მუშაობის შესახებ, როგორიცაა მაგალითად სასოფლო სამეურნეო კრედიტი, კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა მიენდო პოლიტბიუროს,

გადაწყვეტილ იქნა მიენდოს საორგანიზაციო ბიუროს გამოჰყოს კომისია ლენინის გაწვევის პოლიტიკური აღზრდის საკითხის შესახებ და მიიღონ ზომები მუშა-გლეხ-ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებისათვის. მიენდოს პოლიტბიუროს, სამუშაო ხელფასის კომისიის შევსება არა უგვიანეს ორი კვირისა და მოსმენილ იქნეს ამ კომისიის მოხსენება სამუშაო ხელფასის პოლიტიკის ძირითად დირექტივების გამომუშავების შესახებ. ლითონის წარმოების კომისია პოლიტბიუროსთან ჩაითვალოს პლენუმის კომისიათ და გადაეცეს პოლიტბიუროს საკითხი მისი შემადგენლობის გაფართოების შესახებ.

## რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების ცეკას თათბირი.

შესდგა რ. დ. ს. საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მეცამეტე პარტ-ყრილობის დელეგატები. ცეკას მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სსრკ ტერიტორიაზე აღნიშნულ საზოგადოებას ყავს 2 მილიონი წევრი. დღემდის საზოგადოების სალაროში შემოსულია 700.000 მანეთი. აქედან 400.000 მან. გადაგზავნილ იქნა საზღვარ გარედ პოლიტიკურ ტუსაღთა დასახმარებლად. საშუალო შემოსავალი თვეში უდრის 100.000 მანეთს. საზღვარ გარედ მუშაობა სწარმოებს ძლიერ სუსტად.

მთელ რიგ ქვეყნებში აღნიშნულ საზოგადოებას უხდება არა ლეგალური მუშაობა. გერმანიაში ეხარჯება საზოგადოებას თვეში 40.000 დოლარი. აღმოსავლეთის და დასავლეთის პოლიტიკურ პატიმართა უზრუნველყოფისათვის სსრკ მშრომელთა მასები იხდიან 90 პროცენტს.

# რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსებზე მომუშავეთა ყრილობა.

### ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება.

რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსებზე მომუშავეთა ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ფინსახკომი ამხ. სოკოლნიკოვი. მან აღნიშნა, რომ ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბიუჯეტი მიმდინარე წელში აღწევს 2 მილიარდ მანეთს. შემდეგ საანგარიშო წელში კი ეს ბიუჯეტი გადიდებულ იქნება 10 პროცენტით.

ბიუჯეტის გადიდებასთან ერთად, ფინორგანოების მთელი მუშაობა ადგილებზე და ცენტრში უნდა მიმართულ იყოს პირველი რიგის მოთხოვნილებათა გამოყოფისაკენ და ხარჯების, რაც შეიძლება მეტად, შემცირებისაკენ. მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ სასოფლო ბიუჯეტის გაძლიერებას.

# სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი

გაიხსნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმი, სადაც პრეზიდიუმის სახელით გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. დოგადოვმა აღნიშნა, რომ კვალიფიციური მუშები უკვე დაუბრუნდნენ დაზგებს.

სამუშაო ხელფასმა მიაღწია 65 პროცენტს ომამდე არსებული ხელფასისა, ხოლო შრომის უნარიანობამ კი ომამდე არსებულის 75 პროცენტამდე.




## უვადო შვებულებაში გაშვებულ წითელ-არმიელე-ბის წერილები.

**მღვდლების და ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ ვიბრძვით.**

ამხ. პოლიტხელო! მოგესალმებით ჩვენი ლეგიონის მთელ შემადგენლობას. რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით ყველა.

ხუმრობა ხომ არაა, ერთი წელიწადი ერთად გვიცხოვრია, ჰირი და ლხინი ერთად აგვიტანია.

ცხოვრებას პირველად წითელი ჯარის რიგებიდან შევხედე, მანამ კი ჩვენი მღვდელის გულშემწუხებელ ლოცვების მეტი არა გამეგონა რა.

ამხ. პოლიტხელო, რომ იცოდეთ, როგორ უკურნებელ ჭირად მოვევლინე ჩვენს წვერებ ცანცარა ღვდელს. ყველას ვეუბნები, რომ არ დაუჯერონ მას, რომ ის სასტიკად იტყუება. კიდევაც იმიტომაა, სადაც შემხვდება საშინლად მიბღვერს და თან ვერაფერს მიბედავს.

მისი ღმერთი აქაც უნდა ავაფეთქოთ.

ჩემს ოჯახში თითქმის ყველა მოვარჯულე. იცოცხლე, ხელი აიღეს ტაბლების ღვდლისთვის მირთმევაზე.

შეძლების დაგვარად ვეწევი აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ და უხასიათებ ხალხს მენშევიკური მთავრობის გამცემლურ მოქმედებას.

ყაზარმაში შეძენილმა ცოდნამ გზა გამიხსნა.

ვცდილობ სამაგიეროდ მე სხვას აუხილო თვალები.

ამ მოკლე ხანში კლუბიც უნდა გავხსნათ, სადაც ანტირელიგიურ პიესებსაც დავდგამთ. მაშინ უნდა იკითხო ჩვენი მღვდელის თავის ტეხა. რას შევიბრალებთ?

კიდევ სალამი ჩვენ ბიჭებს. მოგვაწოდეთ წიგნები, გაზეთები და პიესები.

ს. დიდი თიანეთი

სანდრო ლონდარიძე.

---

## სოფელი ავამუშავეთ.

გამარჯობა, ამხ. პოლიტხელო!

მოკითხვა ლეგიონის თავს და მთელ შემადგენლობას. თქვენგან დადებული ამაგი, აბა როგორ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში. თქვენგან მიღებული ცოდნა გზას მინათებს.

მეც ცუდათ არ ჩავატარებ მას. ვსცდილობ ყველას გადავსცე წ-ჯარის რიგებში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება.

ჩვენს სოფელში არ იყო სკოლა და სამკითხველო ეხლა ვაპირებთ ორივეს დაარსებას. ალბად ამ მოკლე ხანში კიდევაც სისრულეში მოვიყვანთ.

ბევრი დაბრკოლებები გვეღობება წინ სოფლის „კულაკების“ მხრით მაგრამ რისი მხედარი ვარ, თუ ამასაც ველარ დავსძლევ?! სულ დავფერთხავთ ამ ვერანებს, თუ ძალიან გაგვიჭირეს საქმე. სოფლის ულარიბესი გლეხობა გვერდში გვიდგას და ყველაფერში მხარს გვიჭერს.

მე, ამხ. პოლიტხელო, თქვენთან აღარ ვარ, მაგრამ ჩემი სული წ-ჯარის რიგებშია. თუ მოგვიწოდებს ჩვენი მთავრობა მზადა ვართ!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ლაშქარს და იმ წითელ არმიელებს. რომლებიც თქვენგან მიღებულ ცოდნას გაავრცელებენ სოფლებში.

ს. ბერბუკი კ. აბალაკი.

---

## პარტიული მუშაობა

### მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

31 მაისს შესდგა ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის მორიგი ღია კრება.

დაესწრნენ ყველა პარტ-ამხანაგები და უპარტიო წითელი არმიელები.

თავმჯდომარეობდა ნაწილის სამხკომი ამხ. ჯავახოვი.

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. წით. არმ. ამხ. ქუმსიაშვილის განცხადება მისი პარტიაში შემოსვლაზე.

აღნიშნულმა წით. არმ. ასეულში მოსვლამდე არ იცოდა წერა-კითხვა. მას უმსახურია მენშევიკების დროს გვარდიაში; მრავალ შეკითხვებზე, თუ რამ აიძულა ის გვარდიაში შესვლაზე და რა მიზანი ჰქონდა დასახული გვარდიის, ამხ. ქუმსიაშვილი უპასუხებს, რომ ის აიძულა ეკონომიურ პირობებმა და არც იცოდა თუ ვის ინტერესებს იცავდა გვარდია. ეხლა კი წერა-კითხვის მცოდნე და შეგნებული ვარო და ვიცი პარტიის მისწრაფებები. მეც მინდა ამოუდგე მას გვერდში, როგორც გლეხის შვილიო.

კომუჯრედი დიდი მსჯელობის შემდეგ დარწმუნდა ამხ. ქუმსიაშვილის პასუხის სიმართლეში. ადგენს აღიძრას შუამდგომლობა ქ. დივიზიის პარტ-კომისიის წინაშე მისი პარტიის კანდიდატად დამტკიცების შესახებ.

შემდეგ სამხკომ ამხ. ჯავახოვის მიერ იქნა წაკითხული ცირკულიარები კომუნისტურ კ. მუშაობის შესახებ.

შემდეგ ამხ. ჯავახოვი აღნიშნავს, რომ გამოყოფილ იქნას კ. კ. წევრებიდან მოსულ წითელ არმიელებთან მტკიცე კავშირის გასაბმელად ერთი წევრი, რომელიც იქნება ნაწილის ორგანიზატორის თანაშემწეთ.

შემდეგ ის შეეხო სოფლად მომავალ მუშაობას, მის მნიშვნელობას, თუ როგორი კავშირი უნდა დაიჭიროთ ბანაკში ყოფნის დროს სოფლის უჯრედებთან მათი მუშაობის გამოცოცხლების მიზნით და სხვა.

პარტ-კორი ზუბიაშვილი.

---

## ახალი სოფლის ამოცანები.

ახალ გაზრდა წითელ არმიელებმა, რომლებიც ეხლა წამოვიდენ სოფლიდან თავის მოვალეობის შესასრულებლად მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე, საჭიროა იცოდეს ის, თუ რა გააკეთა სოფლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მის ასაღორძინებლად კომუნისტურ პარტიამ და რა უნდა გააკეთოს ამ მხრივ ახლო მომავალში.

კომუნისტურმა პარტიამ სძლია დამკვრელი უდიდესი ამოცანები, რომელიც მის წინ წამოიჭრა საბჭოთა აღმშენებლობის დროს, მაგრამ მიზნისათვის კიდევ არ მიგვიხწევია, ამ მხრივ კიდევ დიდი საქმეა გასაკეთებელი. ახალგაზრდა წითელ არმიელისათვის ნათელია უდიდესი მიღწევა ფულის რეფორმისა დღეს წითელ არმიელის ოჯახის წევრს, მის მამას, ძმას, აღარ ეშინია იმისი, რომ მისი ოფლით მოპოებული ჭირნახულში, რომელსაც ის გამოიტანს ბაზარზე, ან უკეთეს უზრუნველ ყოფისთვის მიყიდის სახელმწიფოს, მიიღებს ისეთ ფულს, რომელსაც აღარ ელის გაბათილება.

საბჭოთა ხელისუფლება არ ჩერდება მარტო ფულის რეფორმაზე, მას სურს გაანთავისუფლოს სოფელი ვაჭრის, მევახშის ბრჭყალებისაგან.— პარტიის მორიგი ამოცანაც სწორედ ამაში გამოიხატება. საბჭოთა მრეწველობა ამზადებს ისეთ საქონელს, რომელიც აუცილებელია სოფლისათვის. ასეთია, მაგალითად, ფართლეულობა, სხვა და სხვა მიწის დასამუშავებლათ საჭირო იარაღები და მრავალი სხვა. მაგრამ სახელმწიფოს ქარხნის ნაწარმოების და მომხმარებელი —მიწის მუშის შორის შუამავლად გამოდის ვაჭარი, რომელიც თავის მხრივ აძვირებს საქონელს, მოგებას ჯიბეში იდებს. კომპარტიის და მუშურ გლეხური მთავრობის მორიგ ამოცანას შეადგენს, რათა თანდათანობით მოსპობილ იქმნეს შუამავალი—ვაჭარი და მისი ადგილი დაიკავოს კოოპერაციამ.

კოოპერაცია წმინდა მუშურ გლეხური ორგანიზაციაა, რომლის გარშემო ერთდებიან მშრომელნი, რომ საერთო შრომით შეასრულონ თავისი დანიშნულება, რაც მდგომარეობს ვაჭრის შუამავლობის გარეშე საქონლის ყიდვა-გაყიდვაში.

სოფლებში დღეს ღარიბ გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა გაერთიანების გზით.

მათ უნდა დაარსონ კომუნები, არტელები, ამხანაგობები, სადაც საერთო შრომით დაამუშავებენ მიწას, ბაღს, ვენახს და სხ.

ერთი მოიტანს სახნისს, მეორესა ჰყავს ხარი, მესამეს ურემი და ასე და ამნაირად.

ცალ-ცალკე ყოველი მათგანი მოკლებულია მიწის დამუშავების უნარს.

მაგრამ, საკმარისია, როგორც უკვე ზემოთ ვსთქვით, ისინი შეერთდენ კომუნებში, რომ იმათ საერთო შეერთებულ ძალ-ღონით დაამუშაონ მიწა, მით გამაგრდნენ და გაუსწრონ იმ სოფლის „კულაკებს“, რომელნიც ყვლეფენ სოფლის ღარიბ გლეხობას.

სოფლის მდიდარი გლეხობა, როგორც ვსთქვით, ჰყვლეფს ღარიბებს. მაგალითად სოფლის ღარიბ მიწის მუშას ჰყავს ურემი, აქვს სახნისი და ჰყავს მხოლოდ ერთი ხარი; ის მიდის მდიდართან და სთხოვს მეორე ხარს, ისიც ცხადია ათხოვებს, მაგრამ სამაგიეროთ იმდენს ამუშავებს თავის ვენახში, რომ თავის შრომის ღირებულებით საწყალი გლეხი ხარს კიდეც იყიდდა.

ასეთ მდგომარეობიდან, როგორც ზევით ვსთქვით, მას იხსნის მხოლოდ კომუნის არტელების მოწყობა, რაშიაც მას დაეხმარება საბჭოთა ხელისუფლება.

ჩვენი სოფლის მუშა ამუშავებს მიწას ადამის დროის წესებით. მას აქაც სჭირდება დახმარება; დღეს სახელმწიფო ამზადებს უმაღლეს სასწავლებლებში სხვა და სხვა დარგში მცოდნე პირებს. მუშებისათვის იქ სწავლობენ აგრონომები. აგრონომი წამოვა სოფელში გლეხთან და ასწავლის მას მიწის განაყოფიერების და მოვლის საუკეთესო წესებს.

მხოლოდ ამ გზით, ხელისუფლებასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, სამიწათ-მომქმედო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული შეიქმნება ახალი სოფელი საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე და ურყევი საფუძველი.

---

## სამხედრო საქმე

### პოზიციის გაწმენდა ქიმიურ ნივთიერებისაგან.

მოწინააღმდეგის ქიმიურ თავდასხმის შემდეგ თხრილებში, სავალ გზაზედ, ბან-სანგრებში (ბლინდაჟებში) და საერთოთ პოზიციის ყოველ ადგილას მომწამლავ ნივთიერება, როგორც ჰაერზედ უფრო მძიმე, ერთ და იმავე ადგილას ცოტათ თუ ბევრად ხანგრძლივად რჩება, მეტადრე სუსტ ქარზედ. მომწამლავი ნივთიერება ტანისამოსს ეკვრება და დიდხანს რჩება ზედ, რაც მეტად მავნებელი და სახიფათოა თუ დროზე არ იქნება გაწმენდილი. ხალხის გადასარჩენათ და ბრძოლის უნარის შენახვისათვის საჭიროა მომწამლავ ნივთიერებით მოსილი პოზიცია გაიწმინდოს. ამმიზნისათვის სამ გვარი საშუალებაა გამონახული, ამ წერილში შევეხები სითბოების საშუალებას.

ეს საშუალება დაფუძნებულია იმ მოვლენაზედ, რომ შემთბარი ჰაერი ადის მაღლა და ხდება ზევით-წევა, რითაც თხრილებიდან და სხვა დანარჩენ დაბალ ადგილებიდან ადის მოწამლული ჰაერი და იმის ადგილას სუფთა ჰაერი იკავებს. წითელ არმიაში შემოღებულია სითბოების საშუალებად ეგრედ წოდებული საწვავი პაკეტები.

ეს საწვავი პაკეტები ერთგვარადაა მოწყობილი: ხის ან რკინის ყუთები ივსება ადვილად ასანთებ და კარგი საწვავი ნივთიერებით, რისთვისაც ჩვეულებრივად იხმარება ნავთის გაჟღენთილი ძონძი, ან ხავსი, ან ნახერხი. საწვავი პაკეტები ინთება განსაკუთრებული ფალიით, რომელსაც მავთულით სწვავენ და იგი ერთბაშად ძლიერ ალს იძლევა. საწვავ პაკეტებს მისი სიდიდის მიხედვით, თხრილების ძირში 5—10 ნაბიჯის დაშორებით ათავსებენ. იწვის 10 წამის განმავლობაში.

როდესაც ხელთ არა აქვთ ეს საწვავი პაკეტები, მაშინ სახელდახელო მასალითაც შეიძლება კოცონების გაჩაღება, სასურველია ხმელი წალამით, 2 სანტიმეტრი სისხოსი, რაც 15—20 სანტიმეტრიან ქონებათ იკვრება თხრილებსა და დაბალ ადგილების გარდა სითბოების საშუალებით შესაძლებელია გაიწმინდოს აგრეთვე ბან-სანგრები და სავანეები. იმ სავანეში, რომელსაც ერთი გამოსავალი აქვს, იატაკის შუა ადგილას უნდა დაენთოს. იქ კი სადაც რამოდენიმე გამოსავალი აქვს ცეცხლი უნდა საქარეზედ, გაჩაღდეს, სანამ ცეცხლს დაანთებდენ უნდა დარწმუნდენ რომ მომწავლავი ნივთიერება სავანეს გარეშე და დედა-მიწის ზედა პირზედ არაა დარჩენილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ცეცხლი შეიწოვს მომწამლავ ნივთიერებას სავანეს შიგნით. თუ რომელიმე სავანეს მოხვდა ქიმიური ყუმბარა, მისი გაწმენდა სითბოს საშუალებით შეუძლებელია, მეტადრე თუ ყუმბარა ხარდალის აირისა იყო. ამ გვარი სავანე უნდა დაიკეტოს და ქიმისიის გამგემ ყოველი ზომა უნდა იხმაროს მის გასაწმენდათ. ბან-სანგრებისა და საფარების გასაწმედათ საწვავ პაკეტების გარდა შეიძლება სახელდახელო მასალით სარგებლობა, ვედრის ან რაიმე თუნუქის ჭურჭელს გაავსებენ რაიმე საწვავ მასალით და მას სწვამენ.

საერთოთ კი უპირატესობა უნდა საწვავ პაკეტებს მიეცეს, ვინაიდან, იგინი არ ჰკარგავენ თავიანთ თვისებას არც ზამთარში და არც ზაფხულში ყოველგვარ მომწამლავ ნივთიერების შემთხვევაში.

გ. ბ—შვილი.

# ახალი ამბები

**— რევტრიბუნალში.** 2 ივნისისათვის დანიშნული საქმე მეკუჭნავე კონსტანტინე გელოვანისა გადადებულ იქნა 7 ივნისისათვის.

**— გვალვები სიღნაღის მაზრაში.** სიღნაღის მაზრაში მოსულმა წვიმებმა ვერ გამოაკეთეს ნათესები და იქ კვლავ დიდი გვალვებია, რაიც მოსავალზე ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს.

**— გლეხკომების ყრ—ბა.** დღეს, 4 მაისს გაიხსნება ტფილისის მაზრის გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

**—კიოსკები ტელეფონებისათვის.** ფ.-ტ. სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე, ყველა კიოსკების გადაცემის შესახებ მასზე, ტელეფონის აპარატების დასადგმელათ და საფოსტო ნიშნების გასასყიდათ.

**— რძის ნაწარმოებთა ქარხნებში.** რძის ნაწარმოებთა ქარხნები გაიხსნა ყარაიაზში, სართიჭალაში, პატარძეულში, ხაშმში და აზამბურში. ქარხნები ყოველდღიურათ ღებულობენ 250 ფუთ რძეს.

**— სამეურნეო იარაღები.** ქალ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხებზე შეღავათიან პირობებში დასარიგებლათ.

**— იაფი პური.** ამ ჟამად ტფილისის მუშათა კოოპერატივი ყოველ დღიურათ აცხობს 1.500 ფუთ პურს. ქალაქში მოქმედებს 25 განმანაწილებელი პურის საცხობი, საიდანაც მცხოვრებლებს პური ეძლევათ იაფ ფასებში.

**— საექიმო დახმარება აგარაკებზე.** ყველა დაზღვეულ მუშა მოსამსახურეთ და მათი ოჯახის წევრებს აგარაკებზე საექიმო დახმარება მიეცემათ საერთო (დამზღვევი კასის წიგნაკებით) ხოლო მათი ოჯახის წევრებმა უნდა იგულვონ სათანადო მოწმობები.

**— სადოსთაქარო იარაღები.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაურიგა შორაპნის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებებს სადოსტაქარო იარაღების სათანადო რაოდენობა.

**— ფასების დაწევა ხორცზე.** ფულის რეფორმის შემდეგ ფასებმა ხორცზე დღევანდლამდი დაიკლო 20 პროცენტით, კამეჩის ხორცზე კი 30 პროცენტით.

## ხელოვნება.

**— მუშათა ც. კლუბი.** საქართ. პროფსაბჭოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორათ მიიწვიეს სტოლერმანი. პირველი საღამო გაიმართება 7 ივნისს მუშათა ცენტ. კლუბში.

**— არსენალის კლუბი.** არსენალის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტმა დაადგინაააგოს მუშათა კლუბი. ამ მიზნისთვის პროფკავშირთა კულტგანყოფილებამ გადასდო 100 მანეთი.

**— მუშათა შორის.** საქონლის სადგურის მუშებმა მოაწყვეს კულტურული წრე, რომელიც გამართავს საღამო-წარმოდგენებს მუშებისათვის.

# წითელ-არმიელისთვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

### სატკივრის გამომწვევი მიზეზები*).

ციმბირის წყლულს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწვევს ბუნებაში აუარებლად მყოფნი განსაკუთრებული ,,ბაცილები''; ბაცილებს და მათ ,,სპორებს'' თვით, უშუალოდ, არ შეუძლიანთ ერთი ცხოველიდან მეორეზე გადასვლა, ამიტომ „ციმბირის წყლული" არ არის უშუალოდ გადამდები სენი. ეს „ბაცილები", რადგანაც მრავლად ბუდობენ ნიადაგში და მათ მიერ დაავადმყოფებულ ცხოველის სხეულის ,,გამონადენში და განავალში'', ამიტომ ისინი გადააქვთ სხვა და სხვა საშუალებებით და კერძოთ ყოველივე იმით, რაც კი მოიპოვება საქონლის საჯინიბოში (ნეხვი, ცოცხი, ნიჩაბი, მჩვარი, ჩოთქი, ბზე, თივა და სხვა); იგივე სენი გადადის ადამიანის, მწარების და ყველაზე მომეტებულად ნიადაგის (ПОЧВА) საშუალებით, უკანასკნელ შემთხვევაში ეგრედ წოდებულ „მიაზმტიური ინფექციით" (მოწამლულ მტვრიან ჰაერით).

### გზები, საიდანაც ბაცილები ესევიან ცხოველის სხეულს.

ამ მხრივ ,,ციმბირის წყლულის'' ბაცილები და მათი ,,სპორები'' შედიან ცხოველის სხეულში სამი გზით: 1) კუჭ-ნაწლევის არხით, 2) სხეულის გარეგანი საფენით და სხეულის ბუნებრივი ნახვრეტებით და 3) სასუნთქის გზით. კუჭ-ნაწლევის გზით—საქონელი ყველაზე უმეტესად ხდება ავად და აი როგორ.

საქონლის ნახირი ხშირად გაუდით საძოვარზე, სადაც ,,ციმბირის წყლულისაგან'' დახოცილი საქონელი ყრია დაუმარხავი, ან ოდისმე—ეყარა. ამ ცხოველების ლეშით განოყიერებული ნიადაგი აღმოაცენებს კარგს ნოყიერ ბალახს, რომელსაც ნახირი ხარბად ეტანება და გაშმაგებული სჭამს. ამ ბალახთან ერთად იგი აყოლებს აგრეთვე, მასზე მოფენილ, ,,ციმბირის წყლულის ბაცილების სპორებს'', რომელნიც ცხოველის კუჭს უვნებლად განვლიან ხოლმე და ცხოველის წვრილ ნაწლეებში იყრიან თავს, აქ ,,სპორები'' ერევიან შესაფერ ,,წვენლეულობაში'', იხსნებიან მასში და შემდეგ შობამენ ნამდვილ ,,ბაცილებს'', რომელნიც უკვე იწვევენ სხეულის დაავადმყოფებას და მის სიკვდილს. ასევე ხდება მაშინ, როდესაც ნახირი სვამს დაგუბებულ წყალს, სადაც ყრია აღნიშნული სენისაგან დახოცილი საქონლის ლეში, ანდა სვამენ იმ ჭის წყალს, სადაც როგორმე ჩავარდნილია ,,ციმბირის წყლულისაგან მომკვდარი ცხოველი: კატა, ძაღლი და სხვა...

ასეთი შემთხვევები მრავლად ხდება სოფლად და იქ, სადაც ,,ციმბირის წყლული'' ხანგრძლივად ბუდობს და თითქმის ყოველ წლიურად ჩნდება. ამას ეტყვიან ,,სტაციონური'' (ესე იგი ჭირის მუდმივი სადგომი) ხასიათის ,,ციმბირის წყლული''.

**ბასრი.**

*) იხ. ,,წ. ა.'' № 514.

(გაგრძელება შემდეგ)

# სამეურნეო განყოფილება.

### როგორი ნიადაგია საჭირო ბამბუკისათვის.

ბამბუკის მოყვანას დიდი მნიშვნელობა ქქნება ჩვენი მეურნეობისათვის.

ბამბუკი კარგათ ხარობს ისეთ ადგილებზე, სადაც სხვა სასარგებლო მცენარეთა მოყვანა დიდ სარგებლობას არ მოგვიტანს.

ეს კიდეც შეიგნო გურია-სამეგრელოს გლეხობამ, სადაც ბამბუკი ძლიერ კარგად ხარობს, და მას ეხლა ძლიერ ამრავლებენ.

რაც უფრო კარგ პირობებში ჩავაყენებთ და კარგათ მოუვლით ბამბუკს მით უფრო მეტ მოსავალს მივიღებთ მისგან. პირველად ყოვლისა ბამბუკს უნდა ამოურჩიოთ კარგი ნიადაგი.

ბამბუკს უყვარს ფხვიერი—სალი მიწა. ის კარგათ იზრდება იქ, სადაც ჰხარობს ჩაი, ე. ი. წითელ მიწებზე. ასეთ მიწებს გურიაში უწოდებენ ეწერს; ამას გარდა, ბამბუკი კარგათ იზრდება წყლის პირას—ნოყიერ მიწებზედაც.

ბამბუკი ვერ ხეირობს თიხნარში, ქვიშნარში და სხვა ისეთ მიწებზე, რომელთაც გვალვების დროს ზედაკანი უსკდებათ.

ამას გარდა, ჭაობებში და ჭაობნესტიან ადგილებშიც ბამბუკი ნაკლებ ხეირობს. ბამბუკისათვის კარგია მთის კალთები და ფერდობი ადგილები, სადაც წყალი ზედმეტი არ არის.

### ნიადაგის მომზადება.

ამრიგათ ამორჩეულ ადგილზე, დარგვის 3 – 4 თვის წინ, მიწა კარგათ უნდა მოიხნას და ამოიღოს დასარგავი ორმოები. ორმოს სიგანე არ უნდა იყოს ერთი არშინის ნაკლები, სიმაღლე კი 12—14 ვერშოკი. ორმოები ერთი მეორეზე 3—4 საჟენითაა დაშორებული. მაგრამ, ორმოებს შორისი მანძილის განსაზღვრა დასარგავ ჯიშის მიხედვით უნდა.

წვრილ ღეროიან ჯიშების ორმოები უფრო ახლო-ახლოს უნდა, მსხვილ ღეროიანებს კი უფრო შორი-შორს.

ამ ვარაუდით დესეტინაზე 400-დან 600-მდე ძირი ბამბუკი უნდა დაირგას. ორმოდან ზევით ამოღებულ უკეთეს მიწას ცალკე უნდა მოუყაროთ თავი; ქვევითა უვარგისი მიწა კი უნდა გაიფანტოს.

### სასუქის ჩაყრა.

ამოთხრილი ორმოები რამოდენიმე კვირა უნდა დავტოვოთ თავისუფლათ. შემდეგ ვიღებთ ორმოსთან თავმოყრილ მიწას ურევთ შიგ ძველ ნაკელს და ამ ნარევით ვავსებთ ორმოებს. ასე მომზადებულ ორმოს ვტოვებთ რამოდენიმე თვით.

**მეურნე.**

# მეცნიერება და ტეხნიკა.

### ხელოვნური ნავთი.

ერთ ერთ ფრანგულ სოციალისტურ ჟურნალში ცნობილ ფრანგ მეცნიერ მელის წერილია მოთავსებული, სადაც ის ეხება ხელოვნურად ნავთის დამზადების საკითხს. მელის აზრით შესაძლებელია სხვა და სხვა ქიმიური შეერთებებით ისეთი პროდუქტის დამზადება, რომელიც სრულიად არ განსხვავდება თავისი თვისებებით ჩვეულებრივი ნავთის თვისებებისაგან. მელის მოყავს სხვა და სხვა მცენარეულობის ზეთები, რომლებიც სხვა ზეთებთან ერთად განსაზღვრული პროცენტული შემადგენლობით და აგრეთვე ქლორის თუთიასთან შერევით იძლევა ისეთ პროდუქტს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ყოველგვარ პრაქტიკულ მოთხოვნილებებს. პროფესორი მელი იმდენად დიდი ავტორიტეტია, რომ მის გამოკვლევაში რაიმე ეჭვის შეტანა პირდაპირ შეუძლებელია. მეორე მხრივ ხელოვნურად ნავთის მიღება ცხადია დიდ გადატრიალებას მოახდენს სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ ურთიერთობაში. პროფესორი მელი თავის წერილში იმასაც იტყობინება, რომ მან შესძლო ასეთი ნივთიერების მიღება არა მარტო ლაბორატორიულ წესით, არამედ აღმოაჩინა ისეთი პროდუქტიც და უკვე გამოიყენა ავტომობილისათვის, რომელიც სრულიად არ ჩამოუვარდება ავტომობილებში ხმარებულ პროდუქტებს.

### ავტომატი გამაფრთხილებელი რკინის გზაზე მოძრაობის დროს.

ყველასათვის ცნობილია თუ რამდენი მსხვერპლი მოაქვს რკინის გზებზე მატარებლების გადავარდნას და სხვა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სტატისტიკური ცნობების მიხედვით ინგლისში ამ მხრივ ყველაზე მეტი მსხვერპლია. 1911 წ. განმავლობაში ინგლისის რკინის გზებზე მატარებლების გადავარდნის გამო დაიღუპა 726 და დასახიჩრდა 5155 კაცი. საერთოდ ამ წელში ინგლისში იყო 196 მატარებლის დატაკების და 351 რკინის გზის ლიანდაგიდან გადაცდომის შემთხვევა.

აი სწორედ ამან აიძულა ინგლისის გზათა სამინისტრო, შესდგომოდა ისეთ საშვალების გამონახვას ამ მიმართულებით, რომელიც ავტომატიურად შესძლებდა გაეფრთხილებია მატარებლები მოსალოდნელ უბედურებისაგან. ამ მიზნით არსებულმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და შეჩერდა ორი ტიპის ავტომატზე. 1) აპარატი ისეთი, რომელსაც შეუძლიან მოსალოდნელი ხიფათის წინ ავტომატიურად შეაჩეროს მატარებელი. 2) ტიპის კი ავტომატიურად საშვალებას არ აძლევს მატარებელს გადასცდეს ნორმალურ სიჩქარეს. კომისიის აზრით ეს აპარატები 36—38 პროც. შეამცირებენ ასეთ მოვლენებს, მაგრამ აპარატები ერთობ ძვირი ჯდება. მარტო აპარატის დამზადება ეღირება 4 ნახ. მილიონი სტერლინგი, ხოლო მათზე გაწეული წლიური ხარჯი 4 მილიონი სტერლინგი.

**შეიხ.**

# განცხადება.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენ გაზეთში. 1924 წ. ღამის 27—28 მაისს ქართულ ცხენოსან ლეგიონის ფარგლებში დაკარგული იქნა ამავე ლეგიონის ბეჭედი შემდეგი ფორმისა: შუაში ჩაქუჩი და ნამგალი რომლის გარშემო წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით და ყოველივე ამის გარშემო „ქართულ ცხენოსანი ლეგიონი" რუსულად და ქართულად, რომელიც გაუქმებულია 28 მაისიდან ა/წ.. ნაცვლად დაკარგულ ბეჭდის შეძენილია ახალი ბეჭედი იგივე წარწერებით შემდეგი განსხვავებით: ახალი ბეჭედი მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე დაკარგული და ძველ ბეჭედზე წარწერების დასაწყის და დაბოლოების შორის არის ცარიელი მანძილი, ახალში კი ამ ცარიელ მანძილში არის მოთავსებული § და მის გარშემო ***** ვარსკვლავები.


## ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

# ,,კრასნაია ზვეზდა''-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: **მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**

## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.


ნ. ღ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.